ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 20 ივნისის სხდომის

ოქმი #5

2022 წლის 20 ივნისს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება;
3. საბაკალავრო თემების სათაურის ცვლილება;
4. გეოლოგიის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცება;
5. ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტების) თანამშრომელთა დამტკიცება;
6. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. პროგრამებში ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ცვლილებები შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამებს „ბიოფიზიკა“, „ინფორმაციული სისტემები“, ასევე საბაკალავრო პროგრამებს „მათემატიკა“ და „ეკოლოგია“ (იხ. დანართები 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1). კერძოდ,

ა) სამაგისტრო პროგრამა „ბიოფიზიკაში“ გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და კურსების ბადეს დაემატოს სამაგისტრო ნაშრომი თავისი წინაპირობებით;

ბ) საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“ გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ცვლილება წარმოდგენილი სილაბუსის შეფასების ფორმაში;

ბ) საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგიაში“ დაკორექტირდეს პროგრამის მიზნები და ზოგიერთი საგნის სილაბუსი;

დ) სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული სისტემებში“ დამტკიცდეს საგამოცდო საკითხების განახლებული სია სპეციალობის საგანში „დაპროგრამების ენა C ++“.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ. ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხები მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის კონსტანტინე რაზმაძის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ, ასევე ფიზიკის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების სადისერტაციო თემების სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 2.1 – 2.2, დარგობრივი კომისიების ოქმები და სხვ.).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დოქტორანტების თემების სათაურებისა და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი დოქტორანტების სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები:

1) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„მათემატიკა“**
   - პროფესორ ტადეუშ ლიტაკს შეუწყდეს მათემატიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის დოქტორანტის კონსტანტინე რაზმაძის ხელმძღვანელობის სტატუსი;
   - დამტკიცდეს ლუდვიგ მაქსიმილიანის მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი ჯანლუკა გრილეტი დოქტორანტ კონსტანტინე რაზმაძის უცხოელ სამეცნიერო ხელმძღვანელად (თანხმობის წერილი თან ერთვის, იხ. დანართები 2.1);
   - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლები დავით გაბელაია და მამუკა ჯიბლაძე, როგორც კონსტანტინე რაზმაძის თემის ხელმძღვანელები, ასევე სადისერტაციო თემის სათაური „უწყვეტი ფუნქციების დი-მადალური ლოგიკის ანალიზი“, დარჩეს უცვლელი.

2) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ფიზიკა“**

   ა) დოქტორანტ თინათინ სუპატაშვილის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ თსუ ზსმფ ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი მერაბ ელიაშვილი და თსუ ზსმფ ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი გიორგი ციციშვილი. თინათინ სუპატაშვილის სადისერტაციო თემად დამტკიცდეს

„დაბალგანზომილებიანი სისტემებისა და გრაფენის ტიპის ორგანზომილებიანიმესერების კვლევა“;

ბ) დოქტორანტ სალომე ჩინჩალაძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ზსმფ ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი თამაზ მძინარაშვილი;

გ) დოქტორანტ სალომე მურჯიკნელის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ზსმფ ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი თამაზ მძინარაშვილი;

დ) დოქტორანტ ნინო რევაზაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ზსმფ ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი ნანა შათაშვილი. ნინო რევაზაშვილის სადისერტაციო თემად დამტკიცდეს „დიდმასშტაბიანი ველების და რეგულარული სტრუქტურების ფორმირების პრობლემები სხვადასხვა ასტროფიზიკურ გარემოში“ კომბინაციაში „ვარსკვლავთა ატმოსფეროების მრავალმასშტაბიან დინამიკასთან“;

ე) დოქტორანტ ჯემალ მანჯგალაძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ზსმფ-ის ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - საბაკალავრო ნაშრომის სათაურის ცვლილება. საკითხი ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თინათინ ჯანჯალაშვილისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ლონდა ხარაიშვილის საბაკალავრო ნაშრომების სათაურების ცვლილების შესახებ გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ.

აზრი გამოთქვეს: დ.ძიძიგურმა, ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ი.ჩიკვაიძემ, ნ.დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების ცვლილების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ა) შეიცვალოს ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თინათინ ჯანჯალაშვილის საბაკალავრო ნაშრომის სათაური და ჩამოყალიბდეს შემდგენაირად: „ვირთაგვას თავის ტვინის ქერქსა და ჰიპოკამში NMDA რეცეპტორის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ხანგრძლივი სოციალური იზოლაციის პირობებში“. ხელმძღვანელი - პროფ. ნანა კოშორიძე;

ბ) შეიცვალოს ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ლონდა ხარაიშვილის თემის სათაური და ჩამოყალიბდეს შემდგენაირად: „სესისქვიტერპენის ზოგიერთი მჟავას რაოდენობრივი განსაზღვრის ახალი მეთოდის დამუშავება კატაბალახას ფესვ ებში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით". ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე, ქიმ.დოქტ. ანა გოგოლაშვილი.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - გეოლოგიის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცება. საკითხზე ისაუბრა

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ (იხ. დანართი 3 - გეოლოგიის დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გეოლოგიის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: გეოლოგიის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე, ხოლო მდივნად - ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტების) თანამშრომელთა დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ (იხ. დანართი 4 - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის სხდომის ოქმი). საკითხი შეეხებოდა აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტისა და სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ს/კ ინსტიტუტის ზოგიერთი თანამშრომლის დამტკიცებას წარმოდგენილ პოზიციაზე.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზოგიერთი საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ა) დამტკიცდეს გიორგი მაისურაძის კანდიდატურა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრიის განყოფილებაში;

ბ) დამტკიცდეს სალომე ჩინჩალაძის კანდიდატურა მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის წამლის გადამტანი ნანონაწილაკების კვლევის განყოფილებაში, ხოლო სალომე მურჯიკნელის კანდიდატურა მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე ამავე ინსტიტუტის ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების კვლევების განყოფილებაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი